მეორე კლასი - ფინალური ტესტის მიმოხილვა

მშობლიური, ქართული ენის ფინალის ტესტი **100 ქულიანია.** ტესტში ჯამურად დაგხვდებათ **30 საკითხი (შეკითხვა). ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან:**

🔷 წაკითხული ტექსტის გააზრება (40 ქულა)
🔷 გრამატიკული და ლექსიკური დავალებები (60 ქულა)

ტესტის **ყველა შეკითხვა არჩევითპასუხიანი, დახურული ტიპისაა**. თითოეულ შეკითხვას აქვს სამი სავარაუდო პასუხი: ა, ბ ან გ, რომელთაგანაც მოსწავლეს ერთი სწორი პასუხის შერჩევა ევალება.

ნაწილი #1 - წაკითხული ტექსტის გააზრება

ტესტის ამ ნაწილში 10 შეკითხვაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 4 ქულით. შესაბამისად, ამ ნაწილის ჯამური ქულაა 40.

აღნიშნული სავარჯიშოს შესრულებისას მოსწავლეს მოუწევს **მცირე ზომის, კლასის შესაბამისი** ტექსტის წაკითხვა და გააზრება. **შეკითხვები შეეხება:**

- პერსონაჟების თვისებებს,
- ტექსტში მოცემულ მოვლენებს შორის კავშირების აღმოჩენას,
- ტექსტის მთავარი სათქმელის გააზრებას.

ნაწილი #2 - გრამატიკული და ლექსიკური დავალებები

ტესტის მეორე ნაწილი შეეხება გრამატიკულ და ლექსიკურ საკითხებს. ტესტის ამ ნაწილში 20 დავალებაა და თითოეული სწორი პასუხი ფასდება 3 ქულით, შესაბამისად ამ ნაწილის ჯამური ქულაა 60.

მოსწავლემ უნდა გამოავლინოს **კლასის შესაბამისი ცოდნა** შემდეგი მიმართულებებით:

- სულიერი და უსულო არსებითი სახელები,
- სიტყვის მარცვალი,
- საპირისპირო და მსგავსი მნიშნელობის სიტყვების ამოცნობა,
- მრავლობითი და მხოლობითი რიცხვი,
- მოქმედებითი სიტყვის დრო (წარსული, აწმყო, მომავალი)...
- ასევე მოსწავლე შინაარსიბრივად უნდა იაზრებდეს მარტივ ანდაზებსა და მხატვრულ გამონათქვამებს, ჰქონდეს მათ შესახებ ზოგადი ცოდნა.

მაგალითად:

როგორ გესმის გამოთქმა: „ბიჭუნა სიხარულით ხტოდა.”
ა. ბიჭუნა ძალიან გაბრაზდა და დაიყვირა
ბ. ბიჭუნას შეეშინდა და გაიქცა
გ. ბიჭუნა ძალიან გახარებული იყო
ჩამოთვლილებიდან რომელია <u>სულიერი</u> არსებითი სახელი?
ა. ბავშვი
ბ. მაგიდა
გ წიგნი

შეგახსენებთ, ფინალური ტური 4 მაისს ჩატარდება. ფინალთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის ნახვა ამ ბმულზეა შესაძლებელი: https://www.kings.ge/news/1321

კინგსის გუნდი გისურვებთ წარმატებულ ასპარეზობას!